ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: დიანა გახარია

წევრები:

ნანა მონიავა

ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
საიდენტიფიკაციო კოდი: **220373628**

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 26 ივნისის N759108 ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 11 ივლისს განახორციელა ადმინისტრაციული წარმოება სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელის N1 საჯარო სკოლაში (მისამართი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი დარჩელი, რუსთაველის ქ. N124) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ა) ქვეპუნქტის ა.ა) კომპონენტის (1.1. კომპონენტი), გ) ქვეპუნქტის გ.ა) კომპონენტის (3.1. კომპონენტი), დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის (4.1. კომპონენტი) და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დებულების 31 - ე მუხლის, მე - 2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ა); ბ.ბ); ბ.გ) და ბ.დ) (2.1., 2.2., 2.3.,2.4. კომპონენტები) კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

სკოლის, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, ადამიანურ და მატერიალურ რესურსებთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობის მიზნით, შეფასდა სკოლის მისია და ხედვა, სასწავლო გარემო და ადამიანური (მათ შორის ადმინისტრაციული) რესურსის რაოდენობა, კვალიფიკაცია და სამუშაო დატვირთვა. სკოლის პერსონალი მოემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები ისეა გაწერილი, რომ ზოგადი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივად განხორციელებას არ შეეშლება ხელი. სკოლას განსაზღვრული აქვს ცხრილის იმგვარად შედგენა, რომ სასწავლო პროცესი შეუფერხებლად განხორციელდეს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომელნიც განახორციელებენ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ზოგად და ინტეგრირებულ მოდულებზე სწავლებას. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელონ სასწავლო პროცესი როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე.

ექსპერტებს გამოეგზავნათ სკოლის მიერ საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწესებულებამ ხელი შეუწყო საავტორიზაციო პროცესს. ვიზიტის პერიოდში დაკორექტირდა გარკვეული დოკუმენტაცია. ექსპერტებმა შესწავლილი დოკუმენტების და განხორციელებული ვიზიტის შედეგად მოამზადეს დასკვნის პროექტი. აღსანიშნავია, რომ ზსდ-სა და პსდ-ს წესდების, ავტორიზაციის სტანდარტებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების მოთხოვნებს შორის არსებული განსხვავებები ვლინდება როგორც სკოლის მიერ დოკუმენტების მომზადებაში, ასევე ინტერვიურების პროცესში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილი, სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებული, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული, ადამიანური რესურსის მობილიზებისა და განვითარების აქტივობების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესრულება პროფესიული განათლების თავისებურებების დასაძლევად.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საუკეთესო გამოცილება არ დაფიქსირებულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის სტანდარტებთან/კომპონენტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) დაწესებულების მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) დაწესებულების სტრატეგიული განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
4) ადამიანური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ■ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ■ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.2) საინფორმაციო რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	
5.3) ფინანსური რესურსები	არ ფასდება **(შეფასებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების ადმინისტრაციული წარმოების დროს)**	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზები არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები 4.1. კომპონენტთან მიმართებით.

ინდიკატორები 4.1.1.1; 4.1.1.2
<u>სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებულია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიაზრებს სკოლის მიერ ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარებას და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა/გადანაწილებას, სკოლის მიერ განსახორციელებელი საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის მიზნით. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია სკოლამ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესრულება.</u>

ბ. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობები II სტანდარტთან მიმართებით.

ინდიკატორები
2.2.1.1
<u>სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის მობილიზება განსაზღვრულია 2025 წლის სექტემბერისთვის. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია სკოლამ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესრულება.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.1.3

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართით განსაზღვრული განმახორციელებლების გადამზადება პროფესიული განათლების სწავლებისა და შეფასების საკითხებში გათვალისწინებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია სკოლამ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესრულება.</u>

2.2.1.5

<u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება გათვალისწინებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია სკოლამ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესრულება.</u>

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები არ გაცემულა, ვინაიდან საკვანძო საკითხები დაფარულია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ან საჭიროებს პრაქტიკაში განხორციელებას მიდგომების ჩამოსაყალიბებლად.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა დაწესებულებებისაგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2023 წელს შემუშავებულ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებებში პროფესიული განათლების მიმართულების დამატების მიზნით შეტანილი იქნა ცვლილებები (2025 წლის 10 ივნისის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5), ასევე 2023 წელს შემუშავებულ სკოლის 2023-2030 სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმაში წარმოდგენილია პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული მიზანი და მისი შესაბამისი სტრატეგიული ამოცანები (2025 წლის 10 ივნისის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5). სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა - 2025-2026 პროფესიული განათლების მიმართულებით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის ბრძანებით, რომელშიც კორექტირების მიზნით ცვლილებები იქნა შეტანილი ვიზიტის დღეს, დირექტორის 11 ივლისის N2-136 ბრძანებით. სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლის მისია შეესაბამება როგორც ზოგადი განათლების, ასევე პროფესიული განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიულ მიზანს, შესაბამისი ამოცანებით.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. სკოლის მისიაში ჩანს დაწესებულების როლი, როგორც დაწესებულების, სადაც შესაძლებელია ზოგადი და პროფესიული განათლების მიღება.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. სკოლის ხედვა მიუთითებს დაწესებულების მიერ პროფესიულ განათლების განხორციელების თაობაზე და გულისხმობს სკოლის მიერ წლის მისი სამომავლო სასურველი მდგომარეობის აღწერას, რომელიც გაწერილია 2023-2030 წლებზე. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს ღირებულებები, რომელიც აჟღერებს დაწესებულების საქმიანობის მთავარ პრინციპებს. სკოლის ხედვის შემუშავებისა და მასში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით ინფორმაცია მოცემულია 1-ლი ინდიკატორის აღწერაში.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მცირე წარმომადგენლების მიერ მისი გადახედვის ეტაპზე და საჯაროდ გამოქვეყნებულია სკოლის ვებ გვერდზე.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია;
2. სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;
3. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
4. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
6. ცვლილებების ბრძანება;
7. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. დაწესებულების შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. დაწესებულება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში 2025 წლის 17 ივნისის დირექტორის N02-94 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის პროცედურები და მექანიზმები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი, ფორმალური განათლების აღიარების, მათ შორის უცხოეთში და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მექანიზმი, მობილობის წესი და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები. ამავე დებულებით რეგულირდება პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა, სკოლაში ასევე დირექტორის 2025 წლის 17 ივნისის N02-97 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი“. სკოლას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებული აქვს ,,პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობები'', რომელიც ადგენს პროფესიული სტუდენტების უფლებებს, ვალდებულებებს, წახალისებისა და პასუხისმგებლობის საკითხებს. რეგულაციებს შორის ასევე ვხვდებით „პროფესიულ სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმებს".

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. სკოლა იღებს პროფესიული სტუდენტებისთვის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გაცნობის ვალდებულებას (პროფესიულ სტუდენტებთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ზსდ-ს მოვალეობების 3.2.6 პუნქტი: „უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებების გაცნობა და სარგებლობა, მათ შორის დამატებითი შეფასების პირობების შექმნა"). აღნიშნული ინფორმაციის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირად მოიაზრება პროფესიული განათლების კოორდინატორი. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება" ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. ,,პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობების" დოკუმენტით, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით", „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესითა" და სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუშით დასტურდება პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით სარგებლობის შესაძლებლობა. აღნიშნული ინფორმაციის პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირად მოიაზრება პროფესიული განათლების კოორდინატორი.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. სკოლას მომზადებული აქვს სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანი პირების შემთხვევაში მათი კანონიერი წარმომადგენლების მიერ დოკუმენტის ხელმოწერას. ხელშეკრულებაში მოცემულია სკოლასა და პროფესიული სტუდენტის უფლებები, ვალდებულებები, აკრძალვები.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. სკოლის მიერ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება" ითვალისწინებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პრინციპებსა და პროცედურებს, რომელიც მოიაზრებს პროცესში პროფესიული სტუდენტის ჩართულობას.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული სტუდენტის უფლებები და მოვალეობების დოკუმენტი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი;
4. სკოლასა და პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებების ნიმუში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას 2025 წლის 17 ივნისის N02-81 ბრძანებით განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები პროფესიული განათლების მიმართულებით რამდენიმე პოზიციებისთვის. აღნიშნული პოზიციებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულება დაკისრებული აქვთ სკოლის თანამშრომლებს, რომელთა შრომით ხელშეკრულებებზე დამატებით გაფორმებულია შეთანხმებები, გარდა პროფესიული განათლების მასწავლებლისა, რომლებთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. *აღნიშნული პერსონალი მოემსახურება როგორც სკოლის მოსწავლეებს, ასევე უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას.* <u>საავტორიზაციო განაცხადით წარმოდგენილია, სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებული, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც მოიაზრებს სკოლის მიერ ორგანიზაციული სტრუქტურის გადახედვა/განვითარებას და პერსონალის ფუნქცია-მოვალეობების გადახედვა/გადანაწილებას, სკოლის მიერ განსახორციელებელი საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და განსაზღვრის მიზნით. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია სკოლამ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესრულება.</u>
   ინდიკატორი ფასდება როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

2. <u>ამ კომპონენტის შესაბამისი კრიტერიუმის 1-ლი ინდიკატორის ფარგლებში აღწერილი გარემოებების გათვალისწინებით, ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების თაობაზე.</u>
   ინდიკატორი ფასდება როგორც ნაწილობრივ შესაბამისი.

3. სკოლის მიერ დამტკიცებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამუშაო აღწერილობების დოკუმენტით და გაფორმებული წინარე ხელშეკრულებებით დასტურდება ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის პოზიციისთვის. ვინაიდან პროფესიული განათლების მიმართულების თავისებურებები სიახლეს წარმოადგენს სკოლაში ამ მიმართულებით დასაქმებული პირებისთვის, მნიშვნელოვანია მათი და განსაკუთრებით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის შესაძლებლობების გაძლიერება, რაც შედის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები;
2. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
3. გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები/შეთანხმებები;
4. გასაუბრების შედეგები.

4.1.2 დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად;
2. დაწესებულების პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. დაწესებულების პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესების განხორციელება დაგეგმილია სკოლის დირექტორის 2025 წლის 16 ივნისის N02-82 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია: პერსონალის მართვის პრინციპები, პერსონალის შერჩევის დაგეგმვა, თანამშრომლის დაწესებულებაში ინტეგრაციის პროცედურა, პერსონალის შეფასების პროცედურა და მეთოდოლოგია, პერსონალის წახალისება და განვითარება. სკოლაში მოქმედებს ასევე შინაგანაწესი, რომელიც მოიცავს როგორც დასაქმებულების, ასევე პროფესიული სტუდენტების მართვის საკითხებს.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პერსონალის შერჩევა დაგეგმილია „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ შესაბამისად, რომელიც მოიაზრებს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. პროფესიული განათლების მიმართულებით შერჩეული პირების კვალიფიკაცია შესაბამისობაშია სკოლის მიერ დამტკიცებულ მინიმალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. შესაბამისი დოკუმენტაცია ინახება დასაქმებულების პირად საქმეში.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. სკოლის მიერ დამტკიცებული „პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის“ შესაბამისად დაწესებულების პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ პრინციპებს.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები;
2. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
3. გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები/შეთანხმებები;
4. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა;
5. გასაუბრების შედეგები.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება N02-80, 17.06.2025 (ცვლილება ბრძანება N02-135, 11.07.2025)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართ(ებ)ი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელი დარჩელი, რუსთაველის ქ. N124
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	30
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	☐ **შეესაბამება** ■ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია დაწესებულებში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მოსწავლეებში ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იდენტიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განხორციელება ეფუძნება სკოლის თვითშეფასების განაცხადით წარმოდგენილი მიზანშეწონილების არგუმენტაციის ცხრილს და არ ეწინააღმდეგება სკოლის მისიასა და სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმას.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და რომელსაც შეესაბამება სკოლის მიერ დამტკიცებული პროგრამით დადგენილი წინაპირობა. ხოლო პროგრამაზე დაშვების პროცედურები გაწერილია სკოლის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება“ ადგენს პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაანგარიშებას წესს, რომელის მიხედვითაც სკოლას შედგენილი/დამამტკიცებული აქვს გაანგარიშების შედეგების დოკუმენტი, სადაც მითითებულია ყველა პროფესიული, ზოგადი და ინტეგრირებული მოდულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებისთვის, მხოლოდ პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი 1 A/C გარემო და 1 ლაბორატორია მოდულისთვის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, რომელიც საზიარო იქნება სკოლის მოსწავლეებთან.
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დანართის სახით მითითებული სასწავლო რესურსის ჩამონათვალი ფარავს პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, ასევე დანართის სახით მითითებული მატერიალური რესურსი, მათ შორის ინტეგრირებული მოდულისთვის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“, შესაბამისობაშია სტანდარტით განსაზღვრულ ჩამონათვალთან. ამგვარად, საგანმანათლებლო რესურსები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის “კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არ მოიცავს არჩევით მოდულებს.
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

6. საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულებით“ და სკოლის წესდების (მე-7 მუხლის ე[1] პუნქტის) საფუძველზე განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - სკოლის დირექტორის მიერ.
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტის საფუძველზე, შესაბამისად სახელწოდება არ არის შეცდომაში შემყვანი.
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანთლებლო სტანდარტის საფუძველზე და ითვალისწინებს პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. დამტკიცებულ პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები. ინფორმაცია სტრუქტურის და მოდულების, სწავლის შედეგების, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, კვალიფიკაციის მინიჭების პირობების შესახებ; ინფორმაცია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლების შესახებ, პროგრამას თან ახლავს სასწავლო გეგმა, მოდულები, მატერიალური და ადამიანური რესურსების შესახებ ინფორმაცია.
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. მიზანშეწონილების არგუმენტაციის ცხრილი;
2. სკოლის მისია;
3. სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "კომპიუტერული ქსელი და სისტემები";
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება;
6. პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გაანგარიშების შედეგების დოკუმენტი;
7. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც იმავდროულად არის ამ პროგრამის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი და რომელსაც გააჩნია დადასტურებული კომპეტენცია პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიმართულებით;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს სასწავლო ფართი, რომელიც მხოლოდ პროფესიული სტუდენტებისთვის იქნება განკუთვნილი. მოდულისთვის „მეცნიერება და ტექნოლოგიები" აუდიტორია კი საზიარო იქნება სკოლის მოსწავლეებთან. *სკოლას განსაზღვრული აქვს ცხრილის იმგვარად შედგენა, რომ სასწავლო პროცესი შეუფერხებლად განხორციელდეს როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.* <u>სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის მობილიზება განსაზღვრულია 2025 წლის სექტემბერისთვის. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია სკოლამ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესრულება.</u>

   ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულნი არიან მასწავლებლები, რომელნიც განახორციელებენ ინტეგრირებული პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ზოგად და ინტეგრირებულ მოდულებზე სწავლებას. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა შესაძლებელს ხდის ერთი აკადემიური წლის განმავლობაში შეუფერხებლად განახორციელონ სასწავლო პროცესი როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებზე. სკოლას განაცხადით წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ჰქონდა განმახორციელებლების მობილიზება, თუმცა ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი იქნა დარგობრივი მოდულების განსახორციელებლად სკოლის მიერ შერჩეული დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირები, რომელთა პირად საქმეებში განთავსებულია შესაბამისი დოკუმენტაცია და რომელთაც გასაუბრებისას გამოხატეს მზაობა განახორციელონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ამგვარად, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აღნიშნული საკითხი შესრულებულია.*
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართით განსაზღვრული განმახორციელებლების გადამზადება პროფესიული განათლების სწავლებისა და შეფასების საკითხებში გათვალისწინებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია სკოლამ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესრულება.</u>
ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დარგობრივი კომპეტენცია, თუმცა მისი გადამზადება პროფესიული განათლების თავისებურებების, სწავლებისა და შეფასების საკითხებში გათვალისწინებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის.
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. <u>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსის მობილიზება გათვალისწინებულია სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 16 ივნისის N02-84 ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით. ექსპერტების მიერ გაიცა შესაბამისობის რეკომენდაცია სკოლამ უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ზედმიწევნით და სრულყოფილად შესრულება.</u>
ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

6. სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება განსაზღვრავს სსსმ პირებისთვის პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან წვდომის შესაძლებლობას და მასალების ადაპტირებას სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

7. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტს, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯებისგან, პროფესიული სტუდენტების რენტაბელობის ზღვარი შეადგენს 5-ს.
ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების დაწესებულებაში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1,2 დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა, შემუშავება, განვითარების და გაუქმების მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმის მიხედვით დაწესებულება პროგრამაში ცვლილებების განხორციელების დროს გამოიყენებს პროგრამის შიდა და გარე შეფასები შედეგებს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვის შედეგებს, პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიაზრებს „დაგეგმე-განახორციელე-შეაფასე-განავითარე“ ციკლს, რომელიც გამოყენებული იქნება სკოლის მიერ პროგრამის განვითრების ნაწილში.

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დებულება;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის განხორციელება დაგეგმილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დანართით გათვალისწინებული სასწავლო გეგმის მიხედვით. სკოლა შეიმუშავებს სალექციო ცხრილს, რომელიც გაეცნობა პროფესიულ სტუდენტებს და იქნება ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. სკოლის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილების დებულების მიხედვით, დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, დოკუმენტი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ ასევე აკადემიურ მხარდაჭერას.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, სწავლების მეთოდების შესახებ ინფორმაცია მოცემულია მოდულებში, ხოლო დარგის ტექნოლოგიების გამოყენებას უზრუნველყოფენ პროფესიული განათლების მასწავლებლები შესაბამისი სიახლეების გაცნობის, მიწოდების და სწავლების პროცესში.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებით განსაზღვრულია ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია/პროცედურა, რომლის მიხედვითაც ინდივიდუალური სასწავლო გეგის შემუშავების აუცილებლობა დგება, თუ: პროფესიულ სტუდენტს დადგენილი აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, პროფესიული სტუდენტი ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გამო, დროებით საჭიროებს სპეციალური საგანმანათლებლო რეჟიმს, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს მობილობით, ან სხვა შემთხვევები, როდესაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება დგება პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვის გათვალისწინებით და მისი ჩართულობით.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელება დაგეგმილია იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად სკოლას არ საჭიროებს პარტნიორი ორგანიზაციასთან თანამშრომლობას.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "კომპიუტერული ქსელი და სისტემები" განხორციელება არ საჭიროებს უსაფრთხოების განსაკუთრებული ნორმების დაცვას.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულ ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში" გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნები. განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი, რომლის შესაბამისადაც სკოლა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების დადასტურების და დამატებითი შეფასების ორგანიზებას. ასევე დამტკიცებულია „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესი". აღნიშნული რეგულაციების თანახმად, სკოლას აქვს მზაობა, რომ შეფასების სისტემა იყოს ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი, გამჭვირვალე. სკოლა განახორციელებს საგანმანათლებლო პროცესში ჩართული პირების სისტემატიურ გადამზადებას, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება-განვითარებას, ვალიდაციას და უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესის ჩატარებას.

   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

2. სკოლას შემუშავებული აქვს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება", სადაც გაწერილია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული მექანიზმის თანახმად, დაწესებულება მოახდენს გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების პროცესის და შეფასების მტკიცებულებების ვერიფიკაციას. ვერიფიკაციის პროცესში მონაწილეობას მიიღებენ დარგობრივი/პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირები (რომელთაც არ ექნებათ მონაწილეობა მიღებული ინსტრუმენტის შექმნის ან ვალიდაციის პროცესში). ვერიფიკაციის პროცესის ორგანიზება და ვერიფიკაციის დასკვნის შედგენაზე პასუხისმგებლობა განსაზღვრული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს.

   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

3. სკოლას „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულებაში" გაწერილი აქვს შეფასების მტკიცებულებების შენახვის და შემდგომ განადგურების მექანიზმი. კერძოდ, შეფასების მტკიცებულებების უწყისი გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში ინახება დაწესებულებაში, ამის შემდგომ ინახება არქივში 5 წლით. შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები აღრიცხვა მოხდება მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალში, რომელიც შეივსება ელექტრონული სახით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

4. სკოლა გეგმავს განახორციელოს პროფესიულ სტუდენტთა განმავითარებელი შეფასება, მიაწოდოს პროფესიულ სტუდენტებს შეფასების უკუკავშირი, მოახდინოს მისი შედეგების ანალიზი, რათა მოხდეს შედეგების გაუმჯობესების დაგეგმვა.
   ინდიკატორი ფასდება როგორც შესაბამისი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
3. გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი.

25.07.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: